



საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმა

დიანა უგლავა,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე

ეფექტიანი და სამართლიანი საპენსიო პოლიტიკის შემუშავება, მიმდინარე ეტაპზე, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოსთვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. სწორედ ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც შეიმუშავა საპენსიო რეფორმის სტრატეგია, რაც ითვალისწინებს სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას.

საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში რეფორმის ძირითადი ამოცანებია: სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის ზრდა ხელფასთან მიმართებაში; და სოციალური საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: საპენსიო სისტემა, სახელმწიფო პენსია, საპენსიო რეფორმა, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, საპენსიო ფონდი, საპენსიო დანაზოგი.

შესავალი

საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში გამომდინარეობს შემდგომი გარემოებებიდან:

- ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა.

- არსებული სოციალური საპენსიო სქემა წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია.

- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- იმისათვის, რომ სამუშაო ასაკში მყოფმა მოსახლეობამ მიიღოს ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება მოქალაქის მიერ გამომუშავებული ხელფასისა, საჭიროა დანაზოგების ფორმირების ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმების შემუშავება.

- გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით.

მთავრობის მიერ კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, გრძელვადიანი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების კუთხით. კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის, სოციალური საპენსიო სისტემა ეტაპობრივად იქცეს სიღარიბის დაძლევის ინსტრუმენტად. კერძო საპენსიო სისტემა დაეფუძნება „განსაზღვრული შენატანების“ (Defined contribution) პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, კერძო პენსიის ოდენობა დაეფუძნება საპენსიო ფონდში განხორციელებულ შენატანებს, ფონდის ამონაგებსა და მუშაობის ხანგრძლივობას (რაც უფრო ხანგრძლივი ვადით ინვესტირდება პორტფელი, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება).

შენატანების ოდენობა განაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. შემოთავაზებული კერძო საპენსიო

სისტემა გავრცელდება ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირების მიმართ შემდეგი პრინციპით 2%+2%+2%. სისტემის სამი მონაწილე მხარე - მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული ყოველთვიურად ახორციელებს 2%-იან შენატანს დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე, რაც საბოლოო ჯამში უტოლდება 6%. საპენსიო ანგარიში გაიზრდება შენატანებისა და ფონდის მოგების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კონტრიბუციის კოეფიციენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი დაგროვების შემთხვევაში. ამრიგად, წახალისებული უნდა იქნას 6%-ის ზევით, დამატებითი, ნებაყოფლობითი შენატანი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ამჟამად არსებული საპენსიო სისტემა ფინანსდება ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დასაქმებული მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დასაქმებული მოქალაქეები იხდიან კონკრეტულ სოციალურ გადასახადს, რომელიც ირიცხება სახელმწიფო საპენსიო ფონდში და ხმარდება არსებულ საპენსიო ვალდებულებებს. 2008 წლამდე მსგავსი მოდელი არსებობდა საქართველოში, თუმცა სოციალური გადასახადი გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურაში. საგადასახადო რეფორმის შედეგად, საპენსიო ფონდის ნაცვლად, საპენსიო ვალდებულებების დაფინანსება დაეკისრა ცენტრალურ ბიუჯეტს.

ასაკობრივი პენსია ატარებს სოციალური დახმარების ხასიათს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მსგავსი სოციალური ტიპის საპენსიო სისტემა ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს. სოციალური პენსიის როლი საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა სოციალურ პენსიას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის გენერირება. არსებულ საპენსიო სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი და განვრცოვანი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში

და რა ოდენობით გაიზრდება სოციალური პენსია. თუ პენსია არ გაიზრდება რეგულარულად, ცვალებადი გარემო პირობების შესაბამისად, არსებობს პენსიის რეალური ღირებულებისა და მსყიდველუნარიანობის შემცირების საფრთხე, განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის შემთხვევაში.

საჭიროა სოციალური პენსიის ინდექსაცია ინფლაციასთან, რაც სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით გააძლიერებს პენსიის ეფექტურობასა და მნიშვნელობას, და ამავდროულად, გაამყარებს სისტემის ფისკალურ მდგრადობას. არსებული სოციალური პენსიის ფარგლებში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს პენსიონერს ინფლაციური მოვლენებისგან. მსგავსი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში პენსიის მსყიდველუნარიანობა დროთა განმავლობაში დაეცემა, რაც საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის ამოცანის შესრულებას გაართულებს.

კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშუალებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, კერძო დაგროვებითი პენსია ყველაზე ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სოციალური პენსიის მეშვეობით ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა, ან თუნდაც შენარჩუნება, არა-რეალისტური იქნება.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფის საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. ამიტომ, საჭიროა ფინანსურ ნახალისებაზე და მონაწილეთა შენატანებზე დაფუძნებული კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რო-

მელიც მომავალი თაობის პენსიონერებისათვის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება. განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს, რომელიც ამ მიმართულებით მათი პასუხისმგებლობის ზრდასაც უწყობს ხელს. მსგავსი მიდგომის დანერგვის მოთხოვნა არაერთხელ ყოფილა გაჟღერებული საზოგადოების მხრიდან.


კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები იმავდროულად მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას. სოციალური პენსია კერძო პენსიასთან ერთად, უზრუნველყოფს ბევრად უფრო ადეკვატურ ჩანაცვლების კოეფიციენტს. თუ გავითვალისწინებთ კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემით განსაზღვრულ შენატანის საკმაოდ მოკრძალებულ 6%-იან განაკვეთს, საშუალო ხელფასის მქონე პირები, ორი საპენსიო სისტემის მეშვეობით დაახლოებით 30%-იან ჩანაცვლების კოეფიციენტს მიიღებენ, გრძელვადიანი დანაზოგის შემთხვევაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ პენსიაზე ხელმისაწვდომობა კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეთათვის უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალ სისტემაში განევრიანებას.

კერძო დაგროვებითი სისტემის სარგებლის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ყოველთვიური შენატანების პროცენტული მაჩვენებელი ხელფასთან მიმართებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტი საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-

იდან 9%-მდე, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%-იდან 16%-ის ფარგლებშია.

საპენსიო სარგებლის ოდენობაზე, შენატანების კოეფიციენტის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შენატანების ანუ დასაქმების ხანგრძლივობას. კონსერვატიული საინვესტიციო და ამონაგების სცენარის პირობებში 6%-იან შენატანს, ზომიერი სარგებელი მოაქვს. თუმცა, 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში განსაკუთრებით მათთვის, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც ახორციელებს შენატანებს საპენსიო სარგებელი გაცილებით მაღალი იქნება. დიაგრამა 1 გვიჩვენებს 6% და 8%-იანი შენატანების გავლენას და წლების სენსიტიურობას საპენსიო სარგებელზე. აღნიშნული დიაგრამა ნათლად წარმოაჩენს დამატებითი 2%-იანი შენატანის მნიშვნელობას. შესაბამისად, უნდა ნახალისდეს დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანები.

დიაგრამა 1 : შენატანების ხანგრძლივობა და კერძო დატოვებითი საპენსიო სისტემის სარგებელი (რეალური და ნომინალური ღირებულება ლარებში)*



(წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

*დიაგრამაზე მოცემული გათვლები ეფუძნება 1000 ლარის ყოველთვიურ შემოსავალს.

გრძელვადიან პერიოდში, კერძო დაგროვებითი პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად ორჯერ მეტად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს. საშუალო ზრდის დაშვების პირობებშიც კი სოციალური პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი, კერძო დაგროვებითი პენსიის გარეშე, 15%-ზე დაბალი იქნება. თუმცა, თუ მოხდება სოციალური პენსიის კერძო დაგროვებით პენსიასთან კომბინაცია, ჩანაცვლების კოეფიციენტი 30%-ს გადააჭარბებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 30 წელზე მეტი მონაწილეობენ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში.

შენატანების პროცენტული ოდენობა (6%) დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის გადანაწილდება. საპენსიო სისტემაში, როგორც შენატანები, ისე ამონაგები და გასაცემი საპენსიო თანხები, დაბეგვრისაგან გათავისუფლებული იქნება. საჯარო სექტორი და სახელწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიები თანამშრომლებს დააფინანსებენ იგივე წესით, როგორც კერძო სექტორის შემთხვევაში.

სამომავლოდ მისაღები კერძო დაგროვებითი პენსიის სარგებელი სენსიტიურია ფონდის მომგებიანობასთან მიმართებაში, განსაკუთრებით, როდესაც ინვესტირება ხორციელდება გრძელვადიანი პერიოდით. სისტემის მიზანია წარმოქმნას ყოველწლიური ამონაგები, რომელიც ინფლაციის დონეზე მაღალი იქნება. რაც უფრო მაღალ რეალურ მოგებას წარმოქმნის სისტემა მით უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი მიიღწევა. მთავრობის მიერ შემუშავებულ საინვესტიციო პარამეტრებს და რეგულაციებს საპენსიო ფონდის მომგებიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ინვესტირების კონსერვატიული მოთხოვნები და მოკლევადიან ინსტუმენტებში ინვესტირება საპენსიო ფონდისთვის ნაკლები მოგების მომტანი იქნება. საინვესტიციო პოლიტიკისა და ფონდის გრძელვადიან მომგებიანობას შორის ბალანსის შესანარჩუნებლად, აუცილებელია რისკების მართვის და საინვესტიციო პარამეტრების სწორად შემუშავება.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე მოხდება. თუმცა,

მნიშვნელოვანია სავალდებულო პრინციპის არსებობა დამსაქმებელსა და სახელმწიფოს მიმართ.

ნებისმიერ საპენსიო ასაკამდე მყოფ პიროვნებას ექნება სისტემაში მონაწილეობის შესაძლებლობა. პენსიაზე გასვლის დროს იარსებებს ორი სახის არჩევანი: ანუიტეტი, რომელიც გულისხმობს ფიქსირებული ოდენობის თანხის შემოსავალს პენსიონერისათვის დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ან დაგროვებული თანხის გადანაწილებას პენსიონერის ცხოვრების ასაკის ხანგრძლივობის მიხედვით. ანუიტეტის პროდუქტების შეთავაზებისათვის მნიშვნელოვანია სადაზღვეო ბაზრის განვითარება. მოქალაქეს ასევე შეეძლება დაგროვილი თანხის გარკვეული პროცენტის ერთჯერადად გამოტანა შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (დანაზოგის რაოდენობიდან გამომდინარე).

მონაწილეებს ნაადრევად პენსიაზე გასვლის შესაძლებლობა ექნებათ, იმ შემთხვევაში თუ დაუგროვდებათ გარკვეული ოდენობის აქტივები. ასევე, შესაძლებელი იქნება პენსიაზე გასვლის რამდენიმე წლით გადადება.

საპენსიო დანაზოგის საპენსიო ასაკის მიღწევამდე გამოტანა გამონაკლისების გარდა აკრძალული იქნება. ასევე, შესაძლებელია მაღალი საჯარიმო სანქციის გადახდის შემთხვევაში ნაადრევად გამოტანა, თუმცა აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას. ცხადია, გარდაცვალების შემთხვევაში დაგროვებული თანხა მემკვიდრეს სრულად გადაეცემა.

საპენსიო დანაზოგები პარლამენტის მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში იქნება მიმართული. იგივე მოდელი ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფო დამსაქმების დანაზოგების ფონდის სახით (National Employment Savings Trust-NEST). ფონდს ეყოლება პროფესიული ნიშნით არჩეული დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საინვესტიციო სტრატეგიის განსაზღვრასა და დამტკიცებაზე. საპენსიო ფონდის აქტივების აქტიური მართვის პროცესში ფონდის ხელმძღვანელობა არ იქნება ჩართული.

აქტივების მართვა ტენდერის საფუძველზე გადაეცემა აქტი-

ვების მართველ კომპანიებს (Asset Management Companies). ფონდის ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია მის ფუნქციონირებასა და სტრატეგიის შემუშავებაზე, მონიტორინგს გაუწევს კომპანიის მიერ აქტივების განთავსებას და საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელებას. ფონდის თანხების გადაცემა სამართავად აქტივების მართვის კომპანიისათვის გაზრდის აქტივების მართვის ეფექტიანობას და ამავედროულად შეამცირებს ადმინისტრირების და მენეჯმენტის ხარჯებს. არაკომერციული ფონდი იფუნქციონირებს როგორც პროფესიული ფინანსური ორგანიზაცია და მნიშვნელოვანია მისი დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისგან. ამავედროულად, ფონდი ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე.

საპენსიო აქტივების განთავსების პარამეტრებს და რეგულაციებს განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანო. რეგულატორი განსაზღვრავს საინვესტიციო ინსტრუმენტების ნუსხას და ასევე დაადგენს თუ მთლიანი აქტივების რამდენი პროცენტია შესაძლებელი განთავსდეს თითოეულ ინსტრუმენტში.

საპენსიო ფონდის მიერ აკუმულირებული თანხების ინვესტირება მოხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. საინვესტიციო სტრატეგია დაეფუძნება ასაკობრივი ალოკაციის (life-cycle approach) მართვის მიდგომას. საინვესტიციო რეგულაციასა და დივერსიფიკაციასთან ერთად, მსგავსი მიდგომა თამაშობს მნიშვნელოვან როლს საპენსიო ფონდის მონაწილის საინვესტიციო რისკის დაცვის კუთხით და ასევე, ხელს უწყობს საინვესტიციო პორტფელის გრძელვადიან მომგებიანობას.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემაში დროის შედარებით მოკლე პერიოდში დიდი რაოდენობით აქტივები აკუმულირდება. დაგროვებული თანხების ოდენობა დამოკიდებულია შენატანების კოეფიციენტზე, ფონდის მოგებასა და მონაწილეთა რაოდენობაზე. ნავარაუდევია, რომ სისტემის გააქტიურებიდან პირველი წლის თავზე სისტემა მოიზიდავს ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა 45-50%.

მიმდინარე რეფორმის სამოქმედო გეგმა გაწერილია შემდეგნაირად:

2017 წლის იანვარ-თებერვალში საპენსიო ფონდების შექმნა და კანონების დამტკიცება. აქტივების მმართველი კომპანიების მიმართ მოთხოვნების შემუშავება უკვე დასრულებულია, ხოლო რაც შეეხება აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევის პროცესს - დაგეგმილია მარტის თვიდან. საპენსიო ფონდის დირექტორთა საბჭოს და გენერალური დირექტორის შერჩევა/დანიშვნა, ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და განვითარების სტრატეგიის მომზადება ამა წლის აპრილისა და მაისის თვეში. ამავე პერიოდში უნდა მოხდეს ბიზნეს პროცესების და ოპერირების წესების შემუშავება (SOPs); IT სისტემის დანერგვა და განვითარება. ვებ-გვერდის შექმნა და ონლაინ სერვისების დანერგვა, ასევე IT სისტემის ტესტირება; პერსონალური ანგარიშების აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა მოხდება 2017 წლის ივნისიდან აგვისტოს თვემდე, ხოლო რეფორმირებული საპენსიო სისტემის საქართველოში დანერგვა - 2017 წლის 1 ოქტომბრიდან.

დასკვნა

ამრიგად, საპენსიო რეფორმის კონცეფცია წარმოადგენს მთავრობის გეგმას საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. რეფორმის მიზანია:

1. არსებული პენსიონერების უკეთ დაცვა სიღარიბისგან, ინდექსაციის მეშვეობით, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს პენსიონერის მსყიდველუნარიანობის დონის შენარჩუნებას;

2. მომავალი პენსიონერების უზრუნველყოფისათვის უკეთესი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირპროპორციულად იქნება დაკავშირებული დასაქმების პერიოდში მიღებულ შემოსავალთან და საპენსიო ფონდის მოგებასთან.

კერძო საპენსიო სისტემა საშუალებას მისცემს ფორმალურ სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს, უკეთ დაგეგმონ საპენსიო ასაკი და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf
2. საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/____.pdf
3. დ. დევდარიანი, სტატია „საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი“ 22.01.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform>
4. დ. დევდარიანი, სტატია „დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი“ 05.02.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-accumulative-pension-system>
5. Pensions at a Glance, OECD <http://www.oecd.org/finance/private-pensions/39665492.pdf>
6. Global Pension Systems and Their Reform: Worldwide Drivers, Trends, and Challenges <http://ftp.iza.org/dp6800.pdf>
7. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.economy.ge> <https://eprc.ge> <http://www.ssa.gov.ge> <http://www.matsne.gov.ge> <http://forbes.ge> <https://www.nbg.gov.ge>

REFERENCES:

1. The Law of Georgia on State Pensions http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf
2. The Law of Georgian on Non-State Pension Insurance and Security http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/____.pdf
3. D. Devdariani, article, 'Analysis of Pension System Reform' 22.01.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform>
4. D. Devdariani, article, 'Accumulative Pension System Analysis' 05.02.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-accumulative-pension-system>

5. Pensions at a Glance, OECD <http://www.oecd.org/finance/private-pensions/39665492.pdf>

6. Global Pension Systems and Their Reform: Worldwide Drivers, Trends, and Challenges <http://ftp.iza.org/dp6800.pdf>

7. Internet resources: <http://www.economy.ge>; <https://eprc.ge>; <http://www.ssa.gov.ge>; <http://www.matsne.gov.ge>; <http://forbes.ge>; <https://www.nbg.gov.ge>;

CURRENT PENSION REFORM IN GEORGIA

Diana Uglava

Akaki Tsereteli State University

PhD Student

RESUME

At the current stage developing an efficient and fair pension policy is the main challenge for many countries in the world. A number of developed and developing countries are still in the process of modifying the pension system, which aims to ensure the adequate retirement income, fiscal sustainability of pension costs and a more efficient manner of reaction towards demographic changes. With this background, in the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia the pension reform service was set up. It has developed a pension reform strategy, which implies working out mechanism (indexation) for social pension growth and the introduction of an extra component of the pension system _ a private accumulative pension model.

In Georgia like in other countries of the world the main objectives of the reform are as follows: maintaining pension purchasing power and its improvement; increasing the ratio of pension income to the salaries; ensuring financial sustainability of the social pension model.

Key words: pension system, state pension, pension reform, accumulative pension system, pension fund, pension savings.